



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„პამბუკი“

საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი კეკელიშვილი

12 დეკემბერი 2019 წელი

N 65/36

ეგზ.: N1

სსიპ - საქართველოს
ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრის - საქპატენტის
2017 - 2018 წლების შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	შემაჯამებელი მიმოხილვა	2
	რეკომენდაციები	4
	1. შესავალი	5
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	5
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	5
	აუდიტის საგანი	5
	აუდიტის მასშტაბი	5
	აუდიტის კრიტერიუმები	5
	აუდიტის მიზანი	6
	აუდიტის მეთოდოლოგია	6
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	7
	2. აუდიტის მიგნებები	9
	2.1 შრომის ანაზღაურება	9
	2.1.1 არასრულყოფილად აღრიცხული თანამშრომელთა ნამუშევარი დრო	9
	2.1.2 შეთავსებით დასაქმებულ თანამშრომელთა ნამუშევარი დროის არასათანადო აღრიცხვა	11
	2.2 ავტოპარკის მართვა	12
	2.2.1 ფუნქციურად გაუმიჯნავი ავტომანქანები	12
	2.2.2 ავტომობილების განკარგვის პროცესში არსებული კონტროლის სისუსტეები	14
	2.2.3 საქპატენტის თანამშრომლების პირად ავტომანქანებზე გაწეული საწვავის ხარჯი	15
	2.3 სახელმწიფო შესყიდვები	16
	2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	16
	საკონტაქტო ინფორმაცია	17

შემაჯამებელი მიმოხილვა

შრომის ანაზღაურება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ (შემდგომში – საქპატენტი) 2017 - 2018 წლების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

არასრულყოფილად აღრიცხული თანამშრომელთა ნამუშევარი დრო

2017-2018 წლებში საქპატენტში სრულყოფილად არ ხორციელდებოდა შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნა, რომლის მიხედვით, თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადება და წასვლა უნდა აღრიცხულიყო სპეციალური ტექნიკური საშუალების – ტურნიკეტის გამოყენებით. შესაბამისად, ხელფასის დარიცხვის მიზნით შევსებული – სამუშაო დროის ტაბელის¹ მონაცემები განსხვავდება ტურნიკეტზე დაფიქსირებულისგან.

შტატგარეშე თანამშრომლების, სამუშაო დროის არასრულყოფილად აღრიცხვის გარდა, ხელფასების დარიცხვისა და ანაზღაურებისას, არ ხდებოდა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულების დოკუმენტური დადასტურება.² შესაბამისად, გაცემული ხელფასი არ არის სათანადოდ დასაბუთებული, რაც არსებული კონტროლის მექანიზმების სისუსტეზე მიუთითებს.

შეთავსებით დასაქმებულ თანამშრომელთა ნამუშევარი დროის არასათანადო აღრიცხვა

„საქართველოს შრომის კოდექსით“,³ „შრომითი ხელშეკრულება შეთავსებით სამუშაოზე შეიძლება დაიდოს პირთან, რომელსაც ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს შეუძლია სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება“. საქპატენტის 3 შტატიანი თანამშრომელი გარკვეული პერიოდით, პარალელურად შეთავსებით ირიცხებოდნენ შტატგარეშე მოსამსახურებად. ორგანიზაციაში შეთავსებით მოსამსახურეთა სამუშაო დროის აღრიცხვის არასრულყოფილი და გაუმჭვირვალე პრაქტიკის გამო, ვერ მივიღეთ რწმუნება საქპატენტის შტატით მომუშავე თანამშრომლები როდის ასრულებდნენ შეთავსებით სამუშაოს და ძირითად სამუშაოზე განკუთვნილი დრო სრულად დაუთმეს მის შესრულებას, თუ იგი გამოყენებულ იქნა შეთავსებით სამუშაოზე.

ავტოპარკის მართვა

ფუნქციურად გაუმიჯნავი ავტომანქანები

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, სახელმწიფო ავტოპარკი სარგებლობის ფორმირების მიხედვით იყოფა განპიროვნებულ და სამორიგეო ფუნქციის მქონე ავტომობილებად. გარდა ამისა, ორგანიზაციების სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაზღვრულია სპეციალიზებული და ოპერატიული დანიშნულების ავტომობილები.

საქპატენტში, ბალანსზე რიცხულ ავტომობილებს დადგენილებით განსაზღვრული სარგებლობის ფორმებიდან (განპიროვნებული, სამორიგეო, ოპერატიული, სპეციალური დანიშნულების), კლასიფიკაციის არც ერთი ფორმა არ აქვს მინიჭებული. ამასთანავე, ერთი-ერთი ავტომობილი⁴ ემსახურებოდა თავმჯდომარის მოადგილეს, რაც შეუსაბამოა მოქმედ კანონმდებლობასთან.⁵

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ფორმა.

² დამლაგებლების, მძღოლების და ოფისის სხვა ტექნიკური თანამშრომლების გარდა.

³ მე-8 მუხლის პირველი პუნქტი.

⁴ HYUNDAI IX35

⁵ „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილება.

არაკლასიფიცირებული ავტომობილების არსებობის პირობებში, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები ვერ სრულდება, რაც წარმოშობს ავტოპარკის არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობას.

ავტომობილების განკარგვის პროცესში არსებული კონტროლის სისუსტეები

საქპატენტში, ავტომობილით მოსარგებლე პირების შვებულება/მივლინებაში ყოფნისას ჩასხმულია 2,144 ლიტრი საწვავი. მიღებული განმარტებით, თანამშრომლების შვებულება/მივლინებაში ყოფნისას, ავტომობილით სარგებლობა აიხსნება სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი ვერ იქნა წარმოდგენილი.

გამომდინარე იქიდან, რომ შვებულება/მივლინების პერიოდში ავტომობილის საწვავით გამართვის მიზანშეწონილობაზე კონტროლის მექანიზმები სუსტია, არსებობს საწვავის არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობა.

თანამშრომლების პირად ავტომანქანებზე საწვავის ხარჯვის ნაკლოვანებები

ვინაიდან, თანამშრომელთა პირად ავტომანქანებში საქპატენტის კუთვნილი საწვავის ხარჯვისას დოკუმენტურად ვერ დასტურდება სამსახურებრივი მიზნით გამოყენება, საწვავის გაცემა არ შეესაბამება საჯარო სამართლის იურიდიული პირის უფლებამოსილებას. 2017-2018 წლებში სულ ასეთმა ხარჯმა შეადგინა 17,428 ლიტრი, ღირებულებით – 34,680 ლარი.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1. საქპატენტის ხელმძღვანელობას

ხელფასის დარიცხვის პროცესში კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით, საქპატენტმა სამუშაო დროის ტაბელის მონაცემები შეუდაროს ტურნიკეტის მონაცემებს, ხოლო არსებითი სხვაობების შემთხვევაში, სათანადოდ დაასაბუთოს აღნიშნული ფაქტები.

შტატგარეშე თანამშრომელთა ხელფასების დარიცხვისა და ანაზღაურებისას,⁶ აუცილებელია შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა შესრულების დოკუმენტური დადასტურება,⁷ ხოლო, სადაც ეს შესაფერისია – განისაზღვროს დისტანციურად მუშაობის პირობები, მათ შორის, შესრულებული სამუშაოს შესაბამისი დოკუმენტირება.

რეკომენდაცია N2. საქპატენტის ხელმძღვანელობას

ავტომობილების საჭიროების მიხედვით გადანაწილების და ავტოპარკზე გასაწევი ხარჯების შემცირების უზრუნველსაყოფად, საქპატენტმა ავტომანქანების კლასიფიცირება შეუსაბამოს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილებით დამტკიცებულ „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წეს“.

რეკომენდაცია N3. საქპატენტის ხელმძღვანელობას

საწვავის ხარჯვაზე სრულყოფილი კონტროლის მიზნით, მიზანშეწონილია ავტომობილის გადაადგილების სატელიტური (GPS) ან სხვა სახის ელექტრონული კონტროლის სისტემის დანერგვა, ხოლო თუ ეს ტექნიკური საშუალებებით ვერ მიიღწევა, აწარმოოს დოკუმენტაცია ე.წ. საგზურის ფურცლებით, სადაც ფიქსირდება ავტომობილების კონკრეტული მიმართულება და გავლილი მანძილი.

რეკომენდაცია N4. საქპატენტის ხელმძღვანელობას

სახსრების მიზნობრივად ხარჯვის უზრუნველსაყოფად, თანამშრომლების პირად ავტომობილებზე საწვავი გაიცეს დასაბუთებულად, კონკრეტული სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე და განხორციელდეს სათანადო აღრიცხვა მატერიალური ან ელექტრონული ფორმით, რომელშიც განმარტებული იქნება საწვავის გაცემის მიზნობრიობა და ოდენობა.

⁶ გარდა დამლაგებლების, მძღოლების და ოფისის სხვა ტექნიკური თანამშრომლებისა.

⁷ დამლაგებლების, მძღოლების და ოფისის სხვა ტექნიკური თანამშრომლების გარდა.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

საქპატენტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამიანობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ - საქპატენტის მიერ განხორციელებული საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამიანობის ფაქტებს.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამიანობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა:

- / შრომის ანაზღაურება;
- / ავტოპარკის მართვა;
- / სახელმწიფო შესყიდვები;
- / წარმომადგენლობითი ხარჯები.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტმა მოიცვა საქპატენტის 2017-2018 წლების შესყიდვები, შრომის ანაზღაურება, სატრანსპორტო ხარჯები, წარმომადგენლობითი ხარჯები.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- / საქართველოს კანონი „საქართველოს საპატენტო კანონი“;
- / საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
- / საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- / საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- / საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“;
- / საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- / საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- / „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული

ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება (ძალადაკარგულია - 14.06.2017 წ., N12);

-)/ „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანება;
-)/ „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის N449 დადგენილება;
-)/ სსიპ – საქპატენტის შინაგანაწესი, დამტკიცებული საქპატენტის თავმჯდომარის 2016 წლის 22 აგვისტოს N52 ბრძანებით;
-)/ სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილება;
-)/ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სტრუქტურული ერთეულების დებულება, დამტკიცებული საქპატენტის თავმჯდომარის 2015 წლის 6 თებერვლის N22 ბრძანებით;
-)/ „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილება.

აუდიტის მიზანი

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

-)/ აუდიტის ობიექტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
-)/ სამართლებრივი მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შესწავლა-ანალიზი;
-)/ გამოკითხვები-ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან;
-)/ მონაცემთა ანალიზი (მონაცემთა ბაზების და მონაცემთა დოკუმენტური ანალიზი).

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

საქპატენტი დაფუძნებულია „საქართველოს საპატენტო კანონის“ საფუძველზე. მისი დებულება დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით.⁸ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც 4 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. საქპატენტის თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია პრემიერ-მინისტრის წინაშე.

საქპატენტი არის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში მოქმედი დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც ახორციელებს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების სამართლებრივ უზრუნველყოფას. მისი ძირითადი ამოცანებია:

-)/ ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სისტემის განვითარებისა და სრულყოფისათვის კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება;
-)/ ინტელექტუალური საკუთრების სფეროში პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და მათი განხორციელების ორგანიზება;
-)/ ინტელექტუალური საკუთრების სფეროში პოლიტიკის განსაზღვრა და მისი განხორციელება;
-)/ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე (გამოგონება, სასარგებლო მოდელი, დიზაინი, მცენარეთა ახალი ჯიშები, ცხოველთა ახალი ჯიშები, სასაქონლო ნიშანი, ადგილწარმოშობის დასახელება, გეოგრაფიული აღნიშვნა, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგია, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები, საავტორო და მომიჯნავე უფლებები) უფლების მოპოვების სამართლებრივი უზრუნველყოფა.

საქპატენტთან არსებობს სააპელაციო პალატა, რომელიც იხილავს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე მიღებულ გადაწყვეტილებებთან, ასევე მათი დაცვის კრიტერიუმებთან, პატენტის გაცემასთან და სამრეწველო საკუთრების სხვა ობიექტების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ დავებს.

დებულებით, საქპატენტის დაფინანსების წყაროებია:

-)/ ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი;
-)/ ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
-)/ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი, მათ შორის, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები.

2017-2018 წლებში საქპატენტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა მხოლოდ საკუთარი შემოსავლები და გრანტი.

⁸ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისი N181 დადგენილება.

N1 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია საქპატენტის 2017-2018 წლებში მიღებული საკასო შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ:

N1 ცხრილი.

დასახელება	2017 წელი		2018 წელი		სულ	
შემოსავლები	ვალუტა	ლარი	ვალუტა	ლარი	ვალუტა	ლარი
ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები⁹						
შემოსავლები GEL	-	5,286,377	-	5,043,197	-	10,329,574
შემოსავლები USD	2,513,506	6,269,165	1,648,667	4,116,133	4,162,173	10,385,299
შემოსავლები EUR	8,528	25,134	25,304	76,260	33,832	101,394
შემოსავლები CHF	-	-	880,796	2,330,704	880,796	2,330,704
გრანტი						
მიზნობრივი გრანტები USD	40,010	104,734	-	-	40,010	104,734
სულ შემოსავლები	2,562,044	11,685,411	2,554,767	11,566,295	5,116,811	23,251,706
ხარჯები						
შრომის ანაზღაურება		3,038,981		3,227,937		6,266,918
საქონელი და მომსახურება		2,334,775		2,078,591		4,413,363
გრანტები		182,617		117,952		300,569
სოციალური უზრუნველყოფა		46,748		84,031		130,779
სხვა ხარჯები ¹⁰		3,116,648		2,318,758		5,435,407
არაფინანსური აქტივების ზრდა		440,127		36,823		476,950
ვალდებულებების კლება		12,250		-		12,250
სულ ხარჯები:		9,172,146		7,864,092		17,036,236

⁹ გამოგონების დაპატენტების საფასურები, სასარგებლო მოდელის დაპატენტების საფასურები, დიზაინის რეგისტრაცია, სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია, საავტორო უფლებების რეგისტრაცია.

¹⁰ 2017 წელს: დღგ - 2,061,921 ლარი, მოგების გადასახადი - 899,807 ლარი, ქონების გადასახადი - 71,180, პერსონალის დაზღვევა - 77,224 ლარი, დასუფთავების მოსაკრებელი - 2,990 ლარი, ტრანსპორტის დაზღვევა - 2,875 ლარი, სხვა ხარჯები - 650 ლარი.

2018 წელს: დღგ - 1,756,903 ლარი, მოგების გადასახადი - 374,577 ლარი, ქონების გადასახადი - 71,426 ლარი, დასუფთავების მოსაკრებელი - 3,588 ლარი, პერსონალის დაზღვევა - 108,335 ლარი, ტრანსპორტის დაზღვევა - 3,249 ლარი, სხვა ხარჯები - 680 ლარი.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 შრომის ანაზღაურება

2017-2018 წლებში საქპატენტის შტატის მოსამსახურეების შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 7,788,148 ლარი, ხოლო შტატგარეშე მოსამსახურეების – 1,521,231 ლარი.

N2 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია 2017-2018 წლებში შრომის ანაზღაურების ხარჯების და მომუშავეთა საშუალო რიცხოვნობის შესახებ:

N2 ცხრილი.

	2017 წელი	2018 წელი	სულ
სულ შრომის ანაზღაურება	3,901,152	3,886,997	7,788,148
შტატის მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	3,038,981	3,227,936	6,266,918
თანამდებობრივი სარგო	2,136,836	2,966,092	5,102,928
პრემია	540,000	257,485	797,485
დანამატი	362,145	4,360	366,505
საშუალო რიცხოვნობა	89	88	89
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	862,171	659,060	1,521,231
თანამდებობრივი სარგო	678,522	608,089	1,286,610
პრემია	108,700	37,875	146,575
დანამატი	62,560	-	62,560
ჰონორარი ¹¹	12,389	13,097	25,486
საშუალო რიცხოვნობა	34	29	32

2.1.1 არასრულყოფილად აღრიცხული თანამშრომელთა ნამუშევარი დრო

საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების დამტკიცებული ფორმით,¹² სამუშაო დროის გამოყენების და ხელფასის გაანგარიშებისთვის გამოიყენება სამუშაო დროის ტაბელი,¹³ ხოლო საქპატენტის შინაგანაწესის¹⁴ თანახმად, თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადება და სამუშაო ადგილის დატოვება ფიქსირდება სპეციალური ტექნიკური საშუალების – „ტურნიკეტის“ გამოყენებით, რაც სამუშაო დროის აღრიცხვის დამატებით კონტროლის მექანიზმს წარმოადგენს.

სამუშაო დროის ტაბელში დაფიქსირებული თანამშრომელთა ნამუშევარი დღეების ოდენობა განსხვავდება ორგანიზაციის ადმინისტრაციულ შენობაში შესვლისა და გასვლის ელექტრონული (ტურნიკეტის) მონაცემისგან.¹⁵ შესაბამისად, სამუშაო დროის აღრიცხვის კონტროლის ერთ-ერთი მექანიზმი ეფექტურად არ მუშაობს, რის გამოც ვერ მივიღეთ რწმუნება თანამშრომლების მიერ ნამუშევარი დროის და შესაბამისად, ტაბელის მონაცემების სისწორეზე.

ტურნიკეტის მონაცემებით დაფიქსირებული თანამშრომლებიდან, გარკვეული ნაწილის ნამუშევარი დღეების რაოდენობა არ შეესაბამება ტაბელში ასახულ მონაცემს. 2017 – 2018 წლებში 19 თანამშრომლის (მათ შორის, 15 შტატგარეშე) სამსახურში დასწრება საერთოდ არ ფიქსირდება „ტურნიკეტის“ სისტემაში. შესაბამისად, არ არსებობს თანამშრომელთა სამუშაო დროის კონტროლის გამართული სისტემა და გაცემული ხელფასი არ არის სათანადოდ დასაბუთებული. წარმოდგენილი განმარტებით, შტატგარეშე თანამშრომელთა ნაწილი მუშაობდა დისტანციურად, ხოლო ნაწილი ოფისში შესვლა-გასვლისას ტურნიკეტით არ სარგებლობდა.

შტატგარეშე – შრომითი ხელშეკრულებით¹⁶ დასაქმებული პირების¹⁷ (გარდა დამლაგებლების, მძღოლების, ელექტრიკოსის, დამხმარე მუშის) მიერ

შესრულებული სამუშაოები დოკუმენტურად უნდა იყოს დადასტურებული.¹⁸ ხელშეკრულებით განსაზღვრულია დასაქმებული პირების მიერ კონკრეტულად შესასრულებელი სამუშაოები,¹⁹ რომელთა შესრულების შემდეგ უნდა მოხდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების დარიცხვა და გაცემა.

შტატგარეშე თანამშრომელთა ნაწილზე ვერ იქნა წარმოდგენილი მათ მიერ 2018 წლის შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები.

დასკვნა

გაცემული ხელფასი არ არის სათანადოდ დასაბუთებული, რაც არსებული კონტროლის მექანიზმების სისუსტეზე მიუთითებს.

რეკომენდაცია N1

ხელფასის დარიცხვის პროცესში კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით, საქპატენტმა სამუშაო დროის ტაბელის მონაცემები შეუდაროს ტურნიკეტის მონაცემებს, ხოლო არსებითი სხვაობების შემთხვევაში, სათანადოდ დასაბუთოს აღნიშნული ფაქტები.

შტატგარეშე თანამშრომელთა ხელფასების დარიცხვისა და ანაზღაურებისას,²⁰ აუცილებელია შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა შესრულების დოკუმენტური დადასტურება,²¹ ხოლო, სადაც ეს შესაფერისია – განისაზღვროს დისტანციურად მუშაობის პირობები, მათ შორის, შესრულებული სამუშაოს შესაბამისი დოკუმენტირება.

¹¹ პასკალ ბერნარდონის მიერ ჩატარებული გეოგრაფიული აღნიშვნების კურსის ანაზღაურება.

¹² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N449.

¹³ „სამუშაო დროის გამოყენების და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელი“.

¹⁴ მე-8 მუხლის, მე-4 პუნქტი.

¹⁵ ტაბელის და ტურნიკეტის მაჩვენებლები, როგორც წესი ერთმანეთს უნდა შეესაბამებოდეს, თანამშრომელთა შვებულების, მივლინების, საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის, გათავისუფლების შესახებ ინფორმაციისა და შინაგანაწესით დადგენილი გამონაკლისების გათვალისწინებით.

¹⁶ შრომითი ხელშეკრულებების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „დასაქმებულის შრომის ანაზღაურება ხდება შრომის ოდენობისა და ხარისხის მიხედვით“.

¹⁷ გარდა დამლაგებლების, მძღოლების და ოფისის სხვა ტექნიკური თანამშრომლებისა.

¹⁸ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის. „კ“ ქვეპუნქტი: კონტროლის ღონისძიებები მოიცავს დაწესებულების მიერ განხორციელებული ყველა ოპერაციის დოკუმენტირებას.

¹⁹ შრომითი ხელშეკრულებების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი.

²⁰ გარდა დამლაგებლების, მძღოლების და ოფისის სხვა ტექნიკური თანამშრომლებისა.

²¹ დამლაგებლების, მძღოლების და ოფისის სხვა ტექნიკური თანამშრომლების გარდა.

2.1.2 შეთავსებით დასაქმებულ თანამშრომელთა ნამუშევარი დროის არასათანადო აღრიცხვა

შრომის კოდექსით, შრომითი ხელშეკრულება შეთავსებით სამუშაოზე შეიძლება დაიდოს პირთან, რომელსაც ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს შეუძლია სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება.²²

2017-2018 წლებში საქპატენტში 3 შტატიანი თანამშრომელი გარკვეული პერიოდი (გრანტის ფარგლებში) შეთავსებით იყვნენ შტატგარეშე მოსამსახურეებად გაფორმებული და თანამდებობრივი სარგოს პარალელურად, შესრულებული სამუშაოსათვის, როგორც შტატგარეშე მოსამსახურეები, იღებდნენ შრომის ანაზღაურებას. საქპატენტში არ ხდებოდა აღრიცხვა, თუ როდის ასრულებდნენ შტატიანი თანამშრომლები შეთავსებით ნაკისრ სამუშაოებს.²³

აგრეთვე, საქპატენტის ერთი თანამშრომელი 2017 წლის დასაწყისიდან 18 თვე იყო შტატგარეშე მოსამსახურე, ხოლო 2018 წლის ივლისიდან 6 თვე – შტატიანი თანამშრომელი, რომელიც აღნიშნულ პერიოდში შეთავსებით იყო ერთ-ერთი ორგანიზაციის დირექტორი. საქპატენტში, „ტურნიკეტით“ საერთოდ არ არის აღრიცხული მისი სამსახურში ყოფნა.²⁴

შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება შტატით მომუშავე თანამშრომლებმა ძირითად სამუშაოზე განკუთვნილი დრო სრულად დაუთმეს ძირითადი სამუშაოს შესრულებას, თუ იგი გამოყენებულ იქნა შეთავსებით სამუშაოზე. აღნიშნულის მიზეზია ის გარემოება, რომ საქპატენტში მოსამსახურეთა სამუშაო დროის აღრიცხვის არასრული და გაუმჭირვალე პრაქტიკაა დამკვიდრებული.

დასკვნა

საქპატენტის თანამშრომლების შეთავსებით მუშაობა არ შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმად, „შრომითი ხელშეკრულება შეთავსებით სამუშაოზე შეიძლება დაიდოს პირთან, რომელსაც ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს შეუძლია სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება“.

²² საქართველოს ორგანული კანონი – საქართველოს შრომის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი.

²³ შტატიანი თანამშრომლების მიერ შეთავსებით შტატგარეშედ მუშაობის პერიოდში ანაზღაურებულმა თანხამ სულ 14,033 ლარი შეადგინა.

²⁴ 2017-2018 წლებში, აღნიშნულ პირზე საქპატენტში შრომის ანაზღაურების სახით გაცემულმა ოდენობამ სულ შეადგინა - 96,789 ლარი.

2.2 ავტოპარკის მართვა

2017-2018 წლებში, საქპატენტის მიერ სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეულმა ხარჯებმა სულ შეადგინა 142,114 ლარი.

N3 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია 2017-2018 წლებში სატრანსპორტო ხარჯების შესახებ:

N3 ცხრილი

დასახელება	ტრანსპორტის ხარჯები (ლარი)		სულ
	2017 წელი	2018 წელი	
ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯები, მათ შორის:	63,321	78,793	142,114
საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი	41,163	48,542	89,705
მიმდინარე რემონტის ხარჯი	15,984	25,505	41,489
სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი	6,174	4,746	10,920

საქპატენტის ბალანსზე 2017-2018 წლებში ირიცხებოდა 4 სატრანსპორტო საშუალება.

2.2.1 ფუნქციურად გაუმიჯნავი ავტომანქანები

მთავრობის დადგენილებით²⁵ განპიროვნებული ავტომობილი შეიძლება გააჩნდეს შემდეგ თანამდებობის პირებს: სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, სსიპ-ის, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ა(ა)იპის, 50%-ზე მეტი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს ხელმძღვანელს. აგრეთვე იმ სსიპ-ის, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ის, 50%-ზე მეტი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს ხელმძღვანელის მოადგილეს, რომლის საშტატო რიცხოვნობა ტოლია ან აღემატება 100-ს.²⁶

სამორიგეო ავტომობილის რიცხვი დგინდება შემდეგი პროპორციით: 100 საშტატო რიცხოვნობამდე დაწესებულების შემთხვევაში ერთი ავტომობილი ყოველ 20 საშტატო ერთეულზე, ხოლო ყოველ დანარჩენ 50 საშტატო ერთეულზე – დამატებით ერთი ავტომობილი.

ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმებიდან გამომდინარე, 2017-2018 წლებში საქპატენტის ბალანსზე რიცხული 4 ავტომობილიდან, ერთი უნდა ყოფილიყო თავმჯდომარეზე (შემდგომ, თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელზე) განპიროვნებული, ხოლო დანარჩენი 3 – სამორიგეო.

საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანებებით,²⁷ ავტომანქანების განპიროვნების და სამორიგეო მანქანებად გამწესების ნაცვლად, ავტომანქანები სამსახურებრივი სარგებლობისთვის და მოვლა-შენახვაზე პერსონალური პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით მიმაგრებული ჰყავდათ მძღოლებს.

N4 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია სატრანსპორტო საშუალებების ფუნქციური დატვირთვის შესახებ:

N4 ცხრილი

ავტომანქანის დასახელება	ტიპი	პასუხისმგებელი პირი	დანიშნულება
HYUNDAI SANTAFE	მსუბუქი მაღალი გამავლობის	სამეურნეო და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	ემსახურებოდა თავმჯდომარეს, ხოლო 2018 წლის 23 ოქტომბრიდან გაჩერებულია
HYUNDAI IX35	მსუბუქი მაღალი გამავლობის	სამეურნეო და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი	ემსახურებოდა თავმჯდომარის მოადგილეს

MITSUBISHI L200	პიკაპი	სამეურნეო და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის შტატგარეშე თანამშრომელი	სამორიგეო
HYUNDAI ELANTRA	სედანი	სამეურნეო და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი	სამორიგეო

როგორც N4 ცხრილიდან ჩანს, ერთი-ერთი ავტომობილი²⁸ ემსახურებოდა თავმჯდომარის მოადგილეს, რაც არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.²⁹

ასევე, მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, საქპატენტში არ არის შედგენილი რაიმე ტიპის დოკუმენტი, რაც ავტომობილების ფუნქციურ გადანაწილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაციის სანდოობას დაადასტურებდა. შესაბამისად, აუდიტის ობიექტს აქვს შესაძლებლობა შეცვალოს ავტოპარკის ფუნქციური გადანაწილების მონაცემები, რაც აუდიტორებს ზღუდავს მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიიღონ დასაბუთებული რწმუნება ავტომობილების ფუნქციური გადანაწილების სისწორეზე.

დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არაკლასიფიცირებული ავტომობილების არსებობის პირობებში, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება ვერ ხორციელდება, რაც წარმოშობს სახელმწიფო ავტოპარკის არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობას.

რეკომენდაცია N3

ავტომობილების საჭიროების მიხედვით გადანაწილების და ავტოპარკზე გასაწევი ხარჯების შემცირების უზრუნველსაყოფად, საქპატენტმა, ავტომანქანების კლასიფიცირება შეუსაბამოს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილებით დამტკიცებულ „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესს“.

²⁵ „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილების მე-2 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

²⁶ „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილების მე-2 მუხლი, პუნქტი „დ“, მე-3 მუხლი, პუნქტი „ე“ და „ზ“.

²⁷ საქპატენტის ბრძანებები საწვავის გაცემაზე N54, 13.05.2015; N97, 10.09.2015; N125, 17.12.2015; N18, 25.03.2016.

²⁸ HYUNDAI IX35

²⁹ „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილება.

2.2.2 ავტომობილების განკარგვის პროცესში არსებული კონტროლის სისუსტეები

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით, ფინანსური მართვისა და კონტროლის მიზანია იმგვარი კონტროლის სისტემის დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად რესურსების ეკონომიურ, პროდუქტიულ, ეფექტიან, კანონიერ და გამჭვირვალე ხარჯვას. ფინანსური მართვა და კონტროლი ხორციელდება დაწესებულების ხელმძღვანელების მიერ და მოიცავს საქმიანობასთან დაკავშირებულ როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ პროცესებს, ოპერაციებსა და ქმედებებს.

ასევე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით,³⁰ მოხელე ვალდებულია სამსახურებრივი უფლებამოსილება რესურსების ეკონომიურად გამოყენებით განახორციელოს და რაციონალურად გამოიყენოს საჯარო დაწესებულების ქონება, რომელიც დაწესებულების გამართულ საქმიანობას ემსახურება. მოხელის მიერ საჯარო დაწესებულების ქონებისა და სხვა რესურსების პირადი მიზნით გამოყენება დაუშვებელია.

2017-2018 წლებში საქპატენტის ბალანსზე რიცხულ ავტომანქანებზე გაწეულმა საწვავის ხარჯმა შეადგინა 27,226 ლიტრი (ანუ, 54,879 ლარი).

აუდიტის მიზნებისთვის გაანალიზდა საქპატენტის სარგებლობაში არსებული ავტომობილის საწვავით გამართვის შემთხვევები, როდესაც ავტომობილით მოსარგებლე პირები იმყოფებოდნენ მივლინებაში ან შვებულებაში.

ავტომობილით მოსარგებლე პირების შვებულებაში ან ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებაში ყოფნისას გამოვლინდა, რომ ავტომანქანებში ჩასხმულია 2,144 ლიტრი საწვავი. საქპატენტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაფერისი დოკუმენტი, რომელიც აღნიშნულ პერიოდებში ავტომობილების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების ფაქტს დაადასტურებდა.

დასკვნა

გამომდინარე იქიდან, რომ ორგანიზაციის მიერ ავტომობილის საწვავით გამართვის მიზანშეწონილობაზე კონტროლის მექანიზმები სუსტია, არსებობს საწვავის არასამსახურებრივი დანიშნულებით ხარჯვის შესაძლებლობა.

რეკომენდაცია N4

საწვავის ხარჯვაზე სრულყოფილი კონტროლის მიზნით, მიზანშეწონილია ავტომობილის გადაადგილების სატელიტური (GPS) ან სხვა სახის ელექტრონული კონტროლის სისტემის დანერგვა, ხოლო თუ ეს ტექნიკური საშუალებებით ვერ მიიღწევა, აწარმოოს დოკუმენტაცია ე.წ. „საგზურის ფურცლებით“, სადაც ფიქსირდება ავტომობილების კონკრეტული მიმართულება და გავლილი მანძილი.

³⁰ 76-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-4 პუნქტები.

2.2.3 საქპატენტის თანამშრომლების პირად ავტომანქანებზე გაწეული საწვავის ხარჯი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომლების მიერ დაწესებულების ქონებისა და სხვა რესურსების პირადი მიზნით გამოყენება დაუშვებელია.³¹

საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანებებით, სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, თანამშრომლებს, პირად მფლობელობაში არსებულ ავტომობილებზე თვიური ლიმიტით ეძლევათ საწვავი, თუმცა არ არის სათანადოდ დასაბუთებული საწვავის ლიმიტის დაწესების საჭიროება და რაოდენობის კრიტერიუმი.

2017-2018 წლებში 6 თანამშრომლის პირად მფლობელობაში არსებული ავტომობილებისათვის დაწესებული საწვავის თვის ლიმიტების ჯამი შეადგენდა 1,000 ლიტრს, ხოლო ფაქტობრივმა ჯამურმა ხარჯმა 2017-2018 წლებში სულ შეადგინა – (17,428 ლიტრი) 34,680 ლარი.

წარმოდგენილი არცერთი დოკუმენტით არ დასტურდება თანამშრომლების პირად ავტომობილებში ჩასხმული საწვავის სამსახურებრივი საქმიანობისათვის გამოყენება.

დასკვნა

ზემოთ აღნიშნული ფორმით, თანამშრომლების პირად მფლობელობაში არსებულ ავტომანქანებზე საწვავის ლიმიტების განსაზღვრა და ხარჯვა კანონმდებლობით არ იყო ნებადართული საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის.

რეკომენდაცია N4

სახსრების მიზნობრივად ხარჯვის უზრუნველსაყოფად, თანამშრომლების პირად ავტომობილებზე საწვავი გაიცეს დასაბუთებულად, კონკრეტული სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე და განხორციელდეს სათანადო აღრიცხვა მატერიალური ან ელექტრონული ფორმით, სადაც განმარტებული იქნება საწვავის გაცემის მიზნობრიობა და ოდენობა.

³¹ საუკეთესო პრაქტიკა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 76-ე მუხლი.

2.3 სახელმწიფო შესყიდვები

N5 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია 2017-2018 წლებში საკპატენტის მიერ განხორციელებული შესყიდვების შესახებ:

N5 ცხრილი.

შესყიდვის საშუალება	2017 წ.		2018 წ.		2017-2018 წწ.	
	ხელშ. რაოდ.	ღირებ.	ხელშ. რაოდ.	ღირებ.	ხელშ. რაოდ.	ღირებ.
შესყიდვები სულ:	349	1,424,605	290	1,142,194	639	2,566,799
ტენდერები	32	286,725	25	254,338	57	541,064
ელ. ტენდერი	3	28,320	15	157,341	18	185,661
გამარტივებული ელ.ტენდერი	13	132,722	-	-	13	132,722
კონსოლიდირებული ტენდერი	16	125,683	10	96,997	26	222,681
გამარტივებული შესყიდვები	317	1,137,880	265	887,856	582	2,025,735
ნორმატიული აქტებით	14	6,570	15	13,366	29	19,936
წარმომადგენლობითი	163	355,971	149	210,720	312	566,691
ექსკლუზიური	7	150,250	7	169,450	14	319,700
ზღვრების ფარგლებში ³²	113	76,046	78	56,214	191	132,259
მთავრობის	18	534,043	14	420,106	32	954,149
განკარგულებებით						
5-წლამდე						
ავტოტრანსპორტის ტექ. მომსახურება	2	15,000	2	18,000	4	33,000

სახელმწიფო შესყიდვების აუდიტის შედეგად, რაიმე არსებითი ნაკლოვანება, რომლის ასახვაც აუდიტის ანგარიშში მიზანშეწონილი იქნებოდა არ გამოვლენილა.

2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები

N6 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია წარმომადგენლობითი ხარჯების შესახებ:

N6 ცხრილი.

წარმომადგენლობითი ხარჯები მუხლების მიხედვით	2017 წელი	2018 წელი	სულ
წარმომადგენლობითი ხარჯები	169,163	115,542	284,704
მივლინება ქვეყნის გარეთ	1,135	881	2,016
ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯი	948	3,027	3,975
რეკლამის ხარჯი	6,000	-	6,000
სესიების, კონფერენციების და სხვა ორგანიზების ხარჯი	10,109	64,589	74,698
საკონსულტაციო, სანოტარო მომსახურების ხარჯი	10,567	11,889	22,456
საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები	156,547	7,204	163,751
სხვა დანარჩენი საქონელსა და მომსახურების ხარჯი	1,293	875	2,168
სულ:	355,761	204,008	559,768

წარმომადგენლობითი ხარჯების აუდიტის შედეგად, რაიმე არსებითი ნაკლოვანება, რომლის ასახვაც აუდიტის ანგარიშში მიზანშეწონილი იქნებოდა, არ გამოვლენილა.

აუდიტორები

ხელმოწერა

გურამ ყავლაშვილი
წამყვანი აუდიტორი

ნინო ამირანაშვილი
უფროსი აუდიტორი

გურამ ყავლაშვილი 12.12.2019
ნინო ამირანაშვილი 12.12.2019

³² გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტი, 5000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვები.

საკონტაქტო ინფორმაცია

**ვებგვერდი და
სოციალური მედია**

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38